



THE FIRST TEACHERS

‘If my work, the University work in particular, resulted to be fruitful, it could be explained not only by my dedication, but also by the fact that I was lucky to have such capable associates with the strongest spirit and unified by the equally strong will.’

Ivane Javakhishvili

By the time of the opening, by the beginning of the first semester of 1918, Tbilisi University commenced its activities with the following staff: : Honoured Professor, Doctor of Chemistry Petre Melikishvili; Master of Georgian Literature of Petersburg University Ivane Javakhishvili; Master of Georgian Literature of Petersburg University Ioseb Kipshidze; Petersburg Technological Institute and Geodesy and Astronomy Military Enganeering Academy Professor Andria Benashvili (he was to assume delivering lectures after the openning of the Faculty of Mathematics); Professor Korneli Kekelidze; Doctor of Philosophy, Professor Dimitri Uznadze; Doctor of Philosophy, Professor Pilipe Gogichaishvili; Master of Higher Mathematics, Moscow University Privatdocent, Deputy Professor Andria Razmadze (was to assume teaching from the autumn semester); Deputy Professor, Master of History, Privatdocent of Petersburg University Simon Avaliani (it was expected that he was to deliver lectures in World

History and the History of Land Ownership in Georgia but, for his failure to arrive in Tbilisi, the course was not delivered); Petersburg University Philosophy Master, Deputy Professor Shalva Nutsubidze; Master of linguistics of Kharkov University, Deputy Professor Giorgi Akhvledciani; Master of Georgian Philology of Petersburg University, Deputy Professor Akaki Shanidze; Scientific Supervisor Ekvtime Takashvili; Scientific Sepervisor Iustine Abuladze; Lecturer Elisabed Orbeliani; Lecturer Arthur Leist (failed to arrive to deliver the expected lectures in German Language); Lecturer Ilia Kipshidze; Lecturer Wanda Ghambashidze.

The majority of the University professors and teachers later became outstanding scientists, and the establishment and development of various scientific schools in Georgia is connected with their names.

პირველი პედაგოგი

„თუ ჩემს მოღვაწეობას, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო მოღვაწეობას საქართველოში, მართლაც ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა, ეს აიხსნება მარტო ჩემი მუშაობით კი არა, არამედ იმითაც, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ გვერდს მიმშვენებდნენ საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულისკვეთებით გამსჭვალული, ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ადამიანები.“

ივ. ჯავახიშვილი



თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები: (სხედან) მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი: (დგანან) ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ანდრია ბენაშვილი, ვასილ კაკაბაძე, ნიკო ჩიგოგიძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭოლოშვილი.

Tbilisi University professors: (sitting) Mikheil Koniashvili, Grigol Natadze, Ivane Javakhishvili, Mikheil Zandukeli, Aleksandre Didebulidze, Mikheil Taktakishvili. (standing) Niko Mgelandze, Sergo Gorgadze, Iason Moseshvili, Andria Benashvili, Vasil Kakabadze, Niko Chigogidze, Solomon Kurdiani, Giorgi Akhvlediani, Giorgi Koniashvili, Korneli Kekelidze, Evgeni Choghoshvili.



იუსტინე აბულაძემ (1874-1962) 1900 წელს და-ამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავ-ლური ენების ფაკულტეტი ქართულ-სომხურ-სპარ-სული განხრით. საქართველოში დაბრუნებისთანავე შეუდგა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას თბი-ლისის ქართულ გიმნაზიაში, კომერციულ და სხვა სასწავლებელებში. სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს საქართველოს საისტორიო და საეთ-ნოგრაფიო საზოგადოების, აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-ების სხდომებზე. იყო ამ ორივე საზოგადოების წევრი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის გამგე.

იუსტინე აბულაძე

1902 წელს იუსტინე აბულაძემ შუა აზიაში (ტაშკენტი, ბუხარა, სამარყანდი) იმოგზა-ურა იქ მცხოვრებ ხალხთა ენისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად. 1903 წელს კი ვენის, ბერლინისა და პარიზის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული აღმოსავლური სამეც-ნიერო ლიტერატურა და ტექსტები შეისწავლა.

1906 წელს რუსული უანდარმერის მიერ ქართული გიმნაზიის დარბევისა და მისი დი-რექტორის შიო ჩიტაძის მკვლელობის დროს იუსტინე აბულაძეც მძიმედ დაიჭრა.

ი. აბულაძე 1917 წელს, თბილისის უნივერსიტეტის გახსნამდე, შეუერთდა პროფე-სორთა საბჭოს პირველ შემადგენლობას. სხვადასხვა დროს იგი სპარსული ენისა და ლი-ტერატურის ისტორიის კურსებს კითხულობდა სიბრძნისმეტყველების, აღმოსავლეთ-მცოდნეობის, ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტებზე. 1927 წელს

ი. აბულაძე დოცენტის თანამდებობაზე აირჩიეს, 1932 წელს კი პროფესორის წოდება მი-ანიჭეს.

ი. აბულაძე იკვლევდა ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტე-რატურის ისტორიის, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს. დიდი ღვაწლი მიუძღვის ლექსიკოლოგიის განვითარების საქმეში. „ვეფხისტყაოსნის“, აგრეთვე „ვისრამიანისა“ და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ლექსიკონების გარდა, შედგენილი აქვს არაბულ-სპარსული ტერმინებისა და რუსულ-ქართული ლექსიკონები. იუსტინე აბულაძე აღიარებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის, მისი ხელნაწერებისა და ლექსიკის საუკეთესო მცოდნედ. მან ორვერ გამოსცა რუსთაველის პოემა და თითო-ეულ გამოცემას წაუმძღვარა გამოკვლევა, დაურთო ლექსიკონი და შენიშვნები.

იუსტინე აბულაძე ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ცნობილი სკოლის ერთ-ერ-თი თვალსაჩინო ფუძემდებელია. იგი 1962 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

IUSTINE ABULADZE


Iustine Abuladze (1874-1962) graduated from Petersburg University, Faculty of Eastern Studies, specializing in the field of Georgian – Armenian – Persian. He taught Georgian Literature in the Georgian Gymnasium in Tbilisi, often delivered lectures in commercial and other schools. He frequently made speeches at the meetings of the ‘Georgian Historical-Ethnographic Society’ and ‘The Society for the Spread of Literacy among Georgians.’ He was a member to both societies and a supervisor of the museum belonging to the ‘Historical-Ethnographic Society’.

In 1902, Iustine Abuladze travelled to Central Asia (visiting Tashkent, Bukhara and Samarkand) to study the languages and Ethnography of the local peoples. In 1903, he explored the Eastern scientific Literature and texts kept in the museums of Vienna, Berlin and Paris.

Before the opening of Tbilisi University, Iustine Abuladze joined the first staff of Professors’ Board. He read courses of the Persian Language and Literature at different times at the faculties of Philosophy, Eastern Studies and History. In 1927, Iustine Abuladze was elected docent and in 1932 he was granted the Professor’s title.

Iustine Abuladze studied the issues of the Georgian Literature, History and Georgian-Persian relations. He made enormous efforts for the development of Lexicology. Apart from the dictionaries for Georgian versions of ‘The Knight in the Panther’s Skin’, ‘Visramiani’ and ‘Shahname’, he compiled a dictionary of Arabic-Persian terms and a Russian-Georgian dictionary. Iustine Abuladze was recognized as the best expert of the text, its manuscripts and the lexis of ‘The Knight in the Panther’s Skin’. He Published Rustaveli’s poem twice, prepared introductions for each publication and appended them with glossaries and notes.

Iustine Abuladze is one of the brilliant founders of the Georgian school of Eastern Studies. He died in 1962 and is buried in Didube Pantheon for Public Figures.



უნივერსიტეტის წესდების
თავფურცელი (ივანე
ჯავახიშვილის ხელნაწერი)

The title page of the University
statute (Ivane Javakhishvili’s
manuscript)

გიორგი ახვლედიანმა

გიორგი ახვლედიანმა (1887-1973) ხარკოვის უნივერსიტეტის ის-ტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დამთავრა და საპროფესოროდ მოსამზადებლად იქვე, შედარებითი ინდო-ევროპული ენათმეცნიერების კათედრაზე დარჩა. 1918 წლის 5 თებერვლიდან კი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრი გახდა.

გიორგი ახვლედიანი მრავალმხრივი მკვლევარი იყო და ლინგვისტური მეცნიერების რამდენიმე დარგში უხდებოდა მოღვაწეობა. იგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ენათმეცნიერების შესავლის, ზოგადი ენათმეცნიერების, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის, ზოგადი ფონეტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკის, სანსკრიტის, ბერძნული ენის, რუსული ენის ისტორიის, დიალექტოლოგიის, ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის, ლოგოპედიის სალექციო კურსებს.

1923 წელს, გ. ახვლედიანის ინიციატივით, დაფუძნდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“. 1932 წლიდან გ. ახვლედიანი ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, 1940 წლიდან კი ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრი იყო. 1939 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

გიორგი ახვლედიანმა, სხვამეცნიერებთან ერთად, დააფუძნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 1941 წელს.

გ. ახვლედიანი უპირველესად ფონეტიკოსი იყო. მან პირველმა წაიკითხა ფონეტიკის საუნივერსიტეტო კურსი, დაარსა



ფონეტიკის ლაბორატორიები, შექმნა შრომები და სისტემატური სახელმძღვანელო ფონეტიკაში, რომელიც ამ დარგში ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად არის აღიარებულია.

გიორგი ახვლედიანის სახელთან არის დაკავშირებული რთული ფონეტიკური სისტემის მქონე აფხაზური ენის ბერძნობა კვლევა და კლასიფიკაცია, აგრეთვე ოსური ენის ფონეტიკის, დიალექტოლოგიისა და ტექტსოლოგიის შესწავლა. მისი რედაქტორობით გამოიცა ოსური ენის გრამატიკის ორტომეული.

გიორგი ახვლედიანმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავებას. მისი მონაცილებით დადგინდა მრავალი დარგის — ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ფიზიკა-მათემატიკისა და ტექნიკური ტერმინები.

გიორგი ახვლედიანი 1973 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

Giorgi Akhvlediani (1887-1973) graduated from the Faculty of History and Philology of Kharkov University and stayed in the University at the department of Comparative Indo-European Linguistics to prepare for professorship. He became a member of Professors' Board of Tbilisi University on February 1918.

Giorgi Akhvlediani was a many-sided scientist and led activities in several fields of Linguistic Sciences. At different times he read courses in: Introduction to Linguistics, General Linguistics, History of Linguistic Sciences, General Phonetics, Experimental Phonetics, Sanskrit, Greek, History of the Russian Language, Dialectology, Comparative Grammar of Indo-European Languages, History of West European Literature and Logopedics.

GIORGI AKHVLEDIANI

On the initiative of Giorgi Akhvlediani, the 'Georgian Scientific Society' was formed in 1923. From 1932, G. Akhvlediani became a member of the International Society of Experimental Phonetics and in 1940 a member of the American Society of Linguistics. In 1939, he was elected correspondent member of the Soviet Academy of Sciences. Giorgi Akhvlediani, along with the other scientists, co-founded the Georgian Academy of Sciences in 1941.

Primarily G. Akhvlediani was a Phonetician. He was the first to read the University Course of Phonetics, founded phonetic laboratories, created theses and Systemized the manual, which is considered to be the best work in the field of Phonetics.

Studies and classification of the vowels of Abkhazian language having a complicated phonetic system, as well as the studies of Phonetics, Dialectology and Textology of the Ossetian Language are connected with his name. Under his editorship a grammar of Ossetian language was published in two volumes. G. Akhvlediani contributed greatly to the elaboration of Georgian scientific terms. His participation made it possible to set the terms of a major part of fields: Literature, Linguistics, Physics and Mathematics as well as technical terms.

Giorgi Akhvlediani died in 1973. He is buried in Tbilisi University Pantheon.

University Rectors

In 1989 Tbilisi State University was named after its founder Ivane Javakhishvili

Petre Melikishvili	1918 – 1919
Ivane Javakhishvili	1919 – 1926
Tedo Ghlonti	1926 – 1928
Malakia Toroshelidze	1928 – 1930
Ivane Vashakmadze	1930 – 1931
Aleksandre Erkomaishvili	1931 – 1932
Levan Aghniashvili	1933 – 1935
Karlo Oragvelidze	1935 – 1937
Giorgi Kiknadze	1937 – 1938
Davit Kipshidze	1938 – 1942
Aleksandre Janelidze	1942 – 1945
Nikiloz Ketskhoveli	1945 – 1953
Ilia Vekua	1953 – 1953
Ermile Burchuladze	1953 – 1954
Viktor Kupradze	1954 – 1958
Giorgi Dzotsenidze	1958 – 1959
Evgeni Kharadze	1959 – 1966
Ilia Vekua	1966 – 1972
Davit Chkhikvishvili	1972 – 1980
Vazha Okudzhava	1980 – 1985
Nodar Amaghlobeli	1985 – 1991
Tamaz Gamkrelidze	1991 – 1991
Otar Japaridze	1991 – 1991
Roin Metreveli	1991 – 2004
Rusudan Lortkipanidze	2004 – 2006
Giorgi Khubua	2006 – 2010
Nugzar Surguladze	2010
Aleksandre Kvitalashvili	- 2010 - up to now



33 ილიპე გოგიჩაიშვილი დაბადა 1872 წელს ლანჩჩუთში. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის შემდგომ გერმანიაში გაემგზავრა. 1901 წ. დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ეკონომიკური განყოფილება, დაიცვა დისერტაცია და ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოპოვა. იმავე წელს გერმანიაში ცალკე წიგნად გამოიცა მისი სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც საქართველოში ოჯახურ მრეწველობას შეეხებოდა. სამშობლოში დაბრუნების შემდგომ აქტიური საზოგადოებრივ-პუბლიცისტური და სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო.

ფილიპე გოგიჩაიშვილი, როგორც ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლი, 1917 წლიდან აქტიურად ჩაერთო თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისა და ორგანიზების საქმეში. მას თავიდან მინდობილი ჰქონდა ფინანსური საკითხი, მომავალი უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და სასწავლებლის მთელი ფინანსური მეურნეობის ხელმძღვანელობა. ამის პარალელურად ფილიპე გოგიჩაიშვილი კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიკის, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ფინანსური მეცნიერების, ზოგადი და სპეციალური სტატისტიკის, ტრანსპორტის ეკონომიკის სალექციო კურსებს. მისი ორგანიზატორობით შეიქმნა უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიკისა და სტატისტიკის კათედრები.

ფილიპე გოგიჩაიშვილი იყო გამოჩენილი პუბლიცისტი და მთარგმნელი. მან უურნალისტური მოღვაწეობა 1892 წლიდან ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილებით დაიწყო. 1905-1906 წლებში თავად რედაქტორობდა ამავე გაზეთს. მის სტატიებში გაანალიზებულია როგორც საქართველოს, ასევე კავკასიის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ფილიპე გოგიჩაიშვილი 1950 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

ფილიპე გოგიჩაიშვილი მეუღლესთან -
ელენე ცხვედაძესთან ერთად

Pilipe Gogichaishvili with his wife Elene Tskhvedadze

Pilipe Gogichaishvili was born in 1872 in Lanchkhuti. After finishing Ozurgeti Theological school and Tbilisi Theological Seminary, he left for Germany. In 1901, he graduated from Leipzig University Economics Department at the Faculty of Philosophy. After defending the dissertation, he acquired a scientific degree of Doctor of Philosophy. The same year his dissertation thesis, which addressed the family business in Georgia, was published as a separate book in Germany. On his return to Georgia, he took up active Public and scientific activities.

PILYPE GOGICHAISHVILI

Since 1917, as one of the associates of Ivane Javakhishvili, Pilipe Gogichaishvili actively participated in organizational process connected with the foundation of Tbilisi University. He was put in charge of financial issues, which implied drafting the cost accounting for the future University and full supervision over the financial management of the facilities. At the same time Pilipe Gogichaishvili led courses in Political Economy, History of Economic Sciences, Financial Sciences, General and Special Statistics and Transport Economics. The university departments of Political Economy and Statistics were formed under his leadership.

Pilipe Gogichaishvili was an outstanding publicist and translator. He began journalistic activities in 1892, publishing articles in the newspaper 'Iveria' headed by Ilia Chavchavadze. Between 1905 and 1906, he acted as the 'Iveria' editor. His articles dwell upon the socio-economic problems of Georgia and Caucasus, in general. P. Gogichaishvili died in 1950 and is buried in Tbilisi University Pantheon.



1936
Gogichaishvili



ექვთიმე თაყაიშვილი სოფელ ლეხოურში (ოზურგეთის მაზრა) 1863 წელს დაიბადა. სწავლობდა ოზურგეთისა და ფოთის სამაზრო სასწავლებლებში. 1883 წელს, ქუთაისის გიმნაზიის ვერცხლის მედლით დამთავრების შემდგომ, პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1887 წელს დაასრულა. ამავე წლიდან იგი თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში მიინვიეს ისტორიის, გეოგრაფიის, ლათინური და ბერძნული ენების მასწავლებლად. სკოლა მოგვიანებით ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიად გადაკეთდა და დირექტორად ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა (1894-1904წწ.).

ე. თაყაიშვილიახალგაზრდობიდანვეაქტიურ საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. 1888 წელს იგი აირჩიეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, ხოლო 1889 წელს კი — საეკლესიო

მუზეუმის კომიტეტის წევრად. წარმატებული არქეოლოგიური საქმიანობისთვის 1901 წლიდან მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი გახდა. იმავე წელს ე. თაყაიშვილი რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1905-1918 წლებში იგი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივანი იყო.

1907 წელს ე. თაყაიშვილის ინიციატივით დაარსდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, რომელსაც ის 1921 წლამდე ხელმძღვანელობდა. შეუფასებელია ამ საზოგადოების დამსახურება ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და შესწავლის საქმეში. ექვთიმეს რედაქტორობით გამოვიდა ამ საზოგადოების კრებულები — „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“.

მეცნიერმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ძველი ქართული მწერლობის ნიმუშების, ხელნაწერების შესწავლის, აგრეთვე ფოლკლორული ნაწარმოებების შეკრებისა და გამოცემის საქმეს.

ე. თაყაიშვილი უნივერსიტეტის დამფუძნებელისაზოგადოების, ხოლო შემდგომ უკვე თავად უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზაციონი იყო. პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი სხდომაც ექვთიმე თაყაიშვი-

ლის ბინაში გაიმართა. უნივერსიტეტის დაარსებიდანვე კითხულობდა ლექციების კურსს არქეოლოგიაში. 1918 წლის 21 მაისს, ივ. ჯავახიშვილის წინადადებით, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, ქართული არქეოლოგიის წინაშე დიდი ღვაწლისათვის, ექვთიმე თაყაიშვილს ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი (Honoris causa) მიანიჭა.

1918-1921 წლებში ე. თაყაიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო, ექვთიმე თაყაიშვილი იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო და მთავრობის მიერ საზოგადოებრივ გარეთ გატანილი ქართული განძის დაცვა-გადარჩენა ეკისრა. საფრანგეთში ცხოვრების მძიმე წლებში იგი ინტენსიურად აგრძელებდა სამეცნიერო საქმიანობას. იყო ევროპიში მყოფ ქართველ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე. 1922 წელს ე. თაყაიშვილი ფრანგ ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო 1925 წელს კი პარიზის სააზიონო საზოგადოების წევრად აირჩიეს.

1945 წლის აპრილში ექვთიმე თაყაიშვილი სამშობლოში დაბრუნებულ ქართულ განძს თან ჩამოჰყვა. მხცოვანი მეცნიერი ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა თბილისის უნივერსიტეტში ლექციების კითხვას.

1946 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრადაც აირჩიეს, თუმცა საბჭოთა რეჟიმისთვის ყოფილი ემიგრანტი უცვლელ სამიზნედ რჩებოდა. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განუწყვეტელი თვალთვალისგან დათრგუნული მეცნიერი 1953 წელს ტრაგიკულად აღესრულა.

ქართული უნივერსიტეტი.

თებელია საბჭო

სხდომის დღიური

№ 1

შპ. მარტინ

„13. იანვრი 1918 წ.

დამტკიცებული დღი: 11. იანვრი
დამტკიცებული მხარე: ქ. კოსტავა (კოსტავა)
ქ. კოსტავა, ქ. კოსტავა, ქ. კოსტავა

მარტინ

2002 წელს ექვთიმე
თაყაიშვილი საქართველოს
ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

პროფესორთა საბჭოს სხდომის
ოქმი №1, 1918 წელი.

Minutes №1 of the Professors' Board
meeting, 1918

ს. ს.	განხაზოლების საგანი	განაჩენი	მ. ს.
1.	ქართული მუსიკის ისტორიის უნივერსიტეტის მთავრობის მიზანი — სახელმწიფო უნივერსიტეტი მარტინ კოსტავა მარტინ კოსტავა		
2.	მუსიკის ისტორიის უნივერსიტეტის მთავრობის მიზანი — სახელმწიფო უნივერსიტეტი მარტინ კოსტავა მარტინ კოსტავა		

EKVTIME TAKAISHVILI

Ekvtime Takaishvili was born in 1863. He was educated at Ozurgeti and Poti schools. After finishing Kutaisi Gymnasium with a silver medal in 1883, he was admitted to the Faculty of History and Philology of Petersburg University, from which he graduated in 1887. The same year he was invited to Tbilisi School for the Nobility to teach history, geography, Latin and Greek. The school was soon turned into Gymnasium for the Nobility and Ekvtime Takaishvili was appointed headmaster. He carried out active civil and scientific activities from the days of his youth. In 1883, he was elected a committee member of the Society for the Spread of Literacy and of the Church Museum in 1889. For archaeological achievements he was made a correspondent member of Moscow Archaeological Society in 1901 and the same year he was elected a real member of the Russian Geographic Society Caucasus Department. During the years of 1905-1918, he was the secretary of Moscow Archaeological Society Caucasus Department.

In 1907, on the initiative of E. Takaishvili, the Georgian Historical-Ethnographic Society was founded, which he headed up to 1921. The contribution of the society to the cause of protection and study of Georgian historic and cultural heritage is enormous. Under Ekvtime's editorship collections of the society 'Old Georgia' and 'Georgian Antiquities' were published.

Ekvtime Takaishvili's efforts in the study of samples of old Georgian manuscripts, as well as in gathering and publishing folklore, is truly praiseworthy.

Ekvtime Takaishvili was one of the most active co-organisers in the formation of the the Geor-

gian University Foundation Society and later of the University itself. The first meeting of the First Georgian University Professors' Board was held in Ekvtime Takaishvili's flat. He read the archaeology course from the days of the University foundation. On 21 May 1918, upon the proposal of Ivane Javakhishvili, the University Professors' Board awarded Ekvtime Takaishvili the title of Doctor of Archaeology, Honoris Causa.

In 1921, as a result of Georgia's occupation by Russia, Ekvtime Takaishvili was compelled to emigrate and assume protection over the Georgian treasure, being moved out of Georgia by the Georgian government. During the years of hardship spent in France, he conducted intensive scientific activities. He was the chairman of the society in Support of Georgian Students. In 1922 E. Takaishvili was elected a member of the Society of French Numismatists and in 1925 a member of Asian Society in Paris.

In April 1945, Ekvtime Takaishvili returned to Georgia accompanying the treasure. The aged scientist resumed lecturing in Tbilisi University with usual vigour. In 1946, he was elected a member of the Georgian Academy of Sciences, however, his personality was still unacceptable for the Soviet regime. The tragic death of Ekvtime Takaishvili in 1953 was a result of brutal treatment of the Soviet law enforcement bodies.

In 2002 the Georgian Church canonized Ekvtime Takaishvili.



კორნელი კეკელიძემ (1879 - 1962) კიევის სასულიერო აკადემიის სიტყვიერების ფაკულტეტი 1905 წელს წარმატებით დაამთავრა. 1908 წელს, მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემდგომ, მას კიევის სასულიერო აკადემიის კათედრის ხელმძღვანელობა შესთავაზეს, მაგრამ კ. კეკელიძემ თბილისში მუშაობა ამჯობინა. 1916 წელს იგი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა.

1917 წლიდან კორნელი კეკელიძე აქტიურად ჩაეპა ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების

საქმეში და ძველი ქართული ლიტერატურის კათედრა ჩაიპარა; ივანე ჯავახიშვილის რექტორად არჩევის შემდგომ კი მის ნაცვლად შეუდგა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მუშაობას. 1926-1930 წლებში იყო უნივერსიტეტის პროფესიული და ხელმძღვანელობდა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას. 1921 წლიდან 1930 წლამდე იყო უნივერსიტეტის სიძველეთაცავის გამგე.

კორნელი კეკელიძის ინიციატივით დაარსდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იყო 1942-1949 წლებში.

კ. კეკელიძე იკვლევდა ქართული ფილოლოგიისა და ისტორიოგრაფიის, ლიტერატურული ურთიერთობების, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის საკითხებს. მან თავის შრომებში მეცნიერულად შეაჯამა, სისტემაში მოიყვანა და პერიოდების მიხედვით განიხილა ის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც შექმნეს V-XVIII საუკუნეების ქართველმა სასულიერო და საერო მწერლებმა, მეცნიერებმა, მთარგმნელებმა.

კორნელი კეკელიძე დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

KORNELI KEKELIDZE

Korneli Kekelidze graduated with merit from the Faculty of Philology of Kiev Theological Seminary in 1905. After being granted a Master's scientific degree, he was offered to head the department at Kiev Seminary. However, K. Kekelidze chose to return to Tbilisi and in 1916 he was appointed Rector of Tbilisi Theological Academy.

From 1917, Korneli Kekelidze headed the Department of Old Georgian Literature, though he replaced Ivane Javakhishvili as the Dean of Philosophy Faculty, after the latter was elected Rector of the University. Between 1926 and 1930, he was a Pro-

Rector of the University. From 1921 up to 1930, he was in charge of the University antiquities.

On the initiative of Korenli Kekelidze, the Rustaveli Institute of the History of Georgian Language was founded, which he headed from 1942 to 1949.

Korneli Kekelidze studied the issues of the Georgian Philology and Historiography, Literary Relations and History of the Georgian Philosophic Thought. In his works he made a scientific summary of the enormous literary heritage created by Georgian religious and secular writers, scientists and translators, shaping it into a system and reviewing it in periods. Korneli Kekelidze died in 1962 and is buried in the University Pantheon.



შალვა ნუცუბიძემ (1888 - 1969) პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტიდაამთავრა. ცოტა ხნით მასწავლებლად იმუშავა და კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, გახდა მაგისტრი და ლექციების კითხვას შეუდგა. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან იგი ორჯერ გააგზავნეს სამეცნიერო მივლინებით ევროპაში. 1911-1914 წლებში გერმანიაში მოღვაწეობისას ჩამოაყალიბა ორიგინალური ფილოსოფიური მოძღვრება — ალეთოლოგია.

შ. ნუცუბიძე 1917 წლიდან აქტიურად ჩაება ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის პრძოლაში და განსაკუთრებული როლიც ითამაშა ამ მნიშვნელოვანი საქმის დაგვირგვინებაში. შალვა ნუცუბიძე, როგორც უბადლო ორგანიზატორი, ხშირად ერთდროულად ასრულებდა უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობრივ მოვალეობას, — იყო პრორექტორი, დეკანი, ბიბლიოთეკის დირექტორი, კათედრის გამგე, სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი დეკანი. მასვე დაეკისრა იურიდიული ფაკულტეტის გახსნასთან დაკავშირებული ძირითადი სირთულის გადალახვა.

შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე კითხულობდა მრავალ სალექციო კურსს: ფილოსოფიის შესავალს, სოციალურ და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას, სამეცნიერო მეთოდიკას, მტკიცებით სამართალს... 15 წლის განმავლობაში უძღვებოდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრას, რომლის საფუძველზეც შემდგომ შეიქმნა დასავლეთი ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1927 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახდა.

მრავალფეროვანი იყო შალვა ნუცუბიძის მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობა. იმ გამოკვლევების გარდა, რომლებმაც ავტორს და ქართულ მეცნიერებას მსოფლიო აღიარება მოუტანა, შალვა ნუცუბიძე ქმნიდა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს, ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, უცხოენაზე თარგმნიდა ქართული პოეზიის შედევრებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური სემინარი ახალი ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების კერად გადაიქცა. 1930-იანი წლებიდან შ. ნუცუბიძე ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას შეუდგა. იგი ქართული ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ფუძემდებელია. განსაკუთრებით საინტერესოა ნუცუბიძის შრომები რენესანსის აღმოსავლური ფესვების შესახებ და ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტობის თაობაზე. ეს ჰიპოთეზა მან 1942 წელს წამოაყენა, ხოლო 10 წლის შემდეგ ასეთივე დასკვნა გააკეთა ბელგიელმა მეცნიერმა ე. ჰონიგმანმა.

ოცდათიანი წლების რეპრესიები შალვა ნუცუბიძესაც შეეხო, იგი დაპატიმრეს და ციხიდან უშუალოდ სტალინის ჩარევით გაათავისუფლეს. საბჭოთა რეჟიმმა იგი არც 1953 წელს დაინდო, მისი სახელი ბერიას საქმესთან დააკავშირეს და ყველა დაწესებულები-დან გარიცხეს, მათ შორის, მეცნიერებათა აკადემიიდან, ფილოსოფიის ინსტიტუტიდან, უნივერსიტეტიდან...

შალვა ნუცუბიძე უბადლო ორატორი იყო, ამ რავალმხრივი ნიჭითა და არტისტული ბუნებით დაჯილდოებული ადამიანის ლექციებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა მსმენელი. მის მიერ რუსულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად არის მიწნეული.

SHALVA NUTSUBIDZE

Shalva Nutsubidze graduated from Petersburg University, Faculty of History and Philology. For some time he worked as a teacher but after that he returned to the university, got his Master's degree and started delivering lectures. During his stay there, he was twice sent to Europe on academic trips. While working in Germany in 1911-1914, he set up an original philosophical doctrine – Alethology.

Since 1917, Sh. Nutsubidze actively fought for the foundation of the University and played a special role in the successful conclusion of this significant matter. Shalva Nutsubidze, as an unrivalled organiser, often held several posts simultaneously – he was a Pro-Rector, a Dean, a library chief and a Chair. He was made responsible for overcoming major difficulties connected with the opening of the Law Faculty and then for its management.

Shalva Nutsubidze delivered lots of lecture courses at different faculties: Introduction to Philosophy, History of Social and Political Teachings, Scientific Methodology, Evidence Law... For 15 years he managed the Literary Theory Chair, which was later made into the Faculty of Western-European Languages and Literature. In 1927, he defended a doctoral thesis. Shalva Nutsubidze carried out

diverse scientific and literary activities. Besides those works that made the author and the Georgian science world famous, Shalva Nutsubidze created school and university textbooks, philosophical terminology, translated masterpieces of Georgian poetry into a foreign language.

Sh. Nutsubidze's philosophy seminar became a centre of revival of a new philosophical thought. Beginning from 1930s, Sh. Nutsubidze started studying the History of Georgian Philosophy, which he later established as a science. Nutsubidze's works regarding the oriental roots of the Renaissance and the identity of Dionysius the Pseudo-Areopagite and Petre Iberi are particularly interesting. He put forward this hypothesis in 1942 and 10 years later a Belgian scientist E. Honigman made the same conclusion.

The repressions of the thirties touched Shalva Nutsubidze as well. He was arrested, but then released from prison only after Stalin's direct interference. The Soviet Regime did not spare him in 1953 either. His name was associated with Beria and he was excluded from all the organisations, among them from the Academy of Sciences, the Institute of Philosophy, the University...

Shalva Nutsubidze was an excellent orator, the man of versatile talent and artistic nature. His lectures fascinated the audience. Nutsubidze's translation of 'The Knight in the Panther's Skin' is considered to be among the best.



ელისაბედ ბაგრატიონი-ორბელიანისა (1870-1942) მამის მხრიდან ერეკლე მეორის, ხოლო დედის მხრიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი იყო. ბავშვობა მან საფრანგეთში გაატარა, აქვე დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1895 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და, მთარგმნელობით-პუბლიცისტურ საქმიანობასთან ერთად, აქტიური საქველმოქმედო მოღვაწეობა დაიწყო.

მისი საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნება საყოველთაო ზეიმად ქცეულა. სამდგურში თბილისელი თავადაზნაურობა დახვედრია და საღამოს ქართულ კლუბში მის პატივსაცემად ბანკეტიც გამართულა. ელისაბედის არისტოკრატული სილამაზე,

განათლება და ნიჭი აღაფრთოვანებდა თბილისში სტუმრად ჩამოსულ უცხოელ თუ ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, მას პოეტურ სტრიქონებს უძღვნიდნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა....

ელისაბედ ორბელიანი მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იგი ფრანგული ენის მასწავლებლად მიიწვიეს. ელისაბედ ბაგრატიონმა, სოლომონ იორდანიშვილთან ერთად, 1925 წელს ქართველი სტუდენტებისათვის ფრანგული ენის სახელმძღვანელო შეადგინა.

ელისაბედ ორბელიანი ფრანგულად წერდა ლექსებს, მისი ლექსების კრებული 1910 წელს გამოიცა თბილისში „საზანდარის“ ფსევდონიმით. 1919-1920 წლებში რედაქტორობდა გაზეთებს „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოსრესპუბლიკა“ (ორივე ფრანგულ ენაზე) და „საქართველოს მოამბე“ (ინგლისურ ენაზე), მან ფრანგულ ენაზე შეადგინა ქართული პოეზიის ანთოლოგია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ფრანგულ ენაზე თეთრ ლექსად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

საბჭოთა რეჟიმმა იმსხერპლა ელისაბედ ორბელიანის ქმარი და შვილი. მეორე ვაჟი კი, ცნობილი პიანისტი ირაკლი ორბელიანი, ემიგრაციაში წავიდა. ის ამერიკაში გარდაიცვალა უშვილძიროდ ისე, რომ, 1921 წლიდან საქართველოდან წასულმა, ველარ ნახა დედა და სამშობლო.

„ბატონებო! დიდი მღელვარებით აღსავსე გამოვდივარ თქვენს წინაშე, რადგანაც გათვალისწინებული მაქვს ამ წუთის სიდიადე და განსაკუთრებით ვაფასებ იმ პატივს, რომელიც წილად მხვდა მე.

ვხსნით ჩვენს საკუთარ უნივერსიტეტს და ამით ხელახლა ვნასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის შენყვეტილ ძაფს.

აღმოსავლეთის მზეზე გაბრწყინებული კულტურა უფრო მშვენიერდება და ასავლეთის აზრებთან დაახლოებით. ევროპა გვიცნობდა და ჩვენ მას ვუყვარვართ. ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში რომი გვიგზავნიდა მისიონერებს. მე-15 საუკუნეში ჩვენ ვუახლოვდებით საფრანგეთს... უკანასკნელმა ასმა წელმა ძალაუნებურად დაგვაშორა საფრანგეთის აზროვნების თავისუფალ აღორძინებას. ახლა საჭიროა დაკარგული დროის მოგებაც.

ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ მოვალეობად მარგუნეს თქვენ ფრანგული შეგასწავლოთ, რათა ენის საშუალებით გაეცნოთ, იგემოთ მისი გენიოსების ნაწერები. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საფრანგეთის 1789 წლის წყალობითაა, რომ 1918 წელს გვაქვს თავისუფალი ქართული უნივერსიტეტი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს აზრი თქვენც გინინამძღვრებთ და აღგაფრთოვანებთ.”

ელისაბედ ორბელიანის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა 1918 წელს უნივერსიტეტის გახსნისას.



PRINCESS ELISABED BAGRATIONI-ORBELIANI

Princess Elisabed Bagrationi-Orbeliani (1870-1942) on her father's side was a descendant of Erekle II and on her mother's – of Aleksandre Chavchavadze. She spent her childhood in France. After graduating from Paris University Philology Faculty in 1895, she returned to her homeland. Along with being a translator and journalist, Elisabed took an active part in charity work.

It is said that her arrival home turned into a celebration. At the railway station she was met by Tbilisian noblemen and, in the Georgian Club, in the evening, a banquet was held in her honour. Elisabed's aristocratic beauty, education and talent delighted foreign and Georgian writers as well as art workers. Akaki Tsereteli and Vazha Pshavela dedicated poems to her...

Elisabed Orbeliani was one of the most outstanding figures of Georgian public and cultural life at the end of XIX and the beginning of XX centuries. From the moment the university was founded, she was invited to teach French. Together with Solomon Iordanishvili, Elisabed compiled a French language textbook for Georgian students.

Elisabed Bagrationi wrote verses in French. Her book of poems under the pseudonym 'Sazandari' was published in Tbilisi in 1910. During 1919-1920 she was the editor of the newspapers 'Tavisupali Sakartvelo', 'Sakartvelos Respubica' (both were published in French) and 'Sakartvelos Moambe' (in English). She also compiled an anthology of Georgian poetry in French. Her free verse translation of 'The Knight in the Panther's Skin' is particularly noteworthy.

With the intrusion of the Soviet troops, Elisabed's husband and Son were shot. Her second son, a renowned pianist Irakli Orbeliani emigrated from Georgia. He died in America leaving no descendants without being able to see his homeland and his mother.

ე. ორბელიანი მეუღლესთან, მამუკა ორბელიანთან ერთად.

E. Orbeliani with her husband - Mamuka Orbeliani



ღიმიტრი უზნაძე (1887-1959) ზე-საქარაში დაიბადა. სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიასა და ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1909 წელს დაამთავრა. ჰალეს უნივერსიტეტში ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიის შესახებ შესრულებულ ნაშრომში მას ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა. ეს იყო რუსული ფილოსოფიის საკითხებისადმი მიძღვნილი საზღვარგარეთ შესრულებული პირველი სა-დოქტორი დისერტაცია.

დიმიტრი უზნაძე

გერმანიდან დაბრუნების შემდგომ დ. უზნაძემ მუშაობა დაიწყო ქუთაისის გიმნაზიაში ისტორიის მასწავლებლად. 1910 წელს ექსატერნის წესით ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც სამ წელიწადში დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით.

დიმიტრი უზნაძე მეცნიერულ-პედა-გოგიურ მუშაობას ეწეოდა ისტორიისა და პედაგოგიკის დარგში. მან დაამუშავა და გამოაქვეყნა სახელმძღვანელოები, რომ-ლებიც, ფაქტობრივად, იყო პირველი სე-რიოზული ისტორიის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე.

როგორც კი რუსეთის იმპერიამ მცირე ერებს ეროვნული სკოლების გახსნის უფლება მისცა, ქუთაისში დაარსდა ქართული სკოლა „სინათლე“ (1915), რომლის დირექტორად დ. უზნაძე დაინიშნა.

ამ პერიოდში გამოქვეყნებული „პედა-გოგიური წერილების“ სერიაში უკვე გამო-



იკვეთა მისი მომავალი ფსიქოლოგიური თეორიის საწყისები.

1917 წლიდან დიმიტრი უზნაძე საცხოვ-რებლად თბილისში გადმოვიდა და იმ ქართველი მეცნიერების ჯგუფს შეუერთდა, რომელმაც ქართული უნივერსიტეტი დაარსა.

უნივერსიტეტში მან პირველი სემეს-ტრიდანვე დაიწყო ფსიქოლოგიის ლექციების კითხვა და დააარსა ფსიქოლოგიური ლაბორატორია, რომელიც საქართველოში ფსიქოლოგიის განვითარების მძლავრ ცენ-ტრად ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელიც თბილისის სამას-ნავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა და უნივერსიტეტის სტრუქტურაში შევიდა. გარდა უნივერსიტეტისა, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

დიმიტრი უზნაძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამ-ფუძნებელი და მისი წევრი.

დიმიტრი უზნაძის სახელთანაა და-კავშირებული მეცნიერებაში განწყობის ერთიანი ბუნების კვლევის ექსპერიმენტული მეთოდის – ფიქსირებული განწყობის მეთოდის შემოტანა. ფენომენს, რომლის საფუძველზეც უზნაძემ განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის მეთოდი და-ამჟამავა, მეცნიერებაში „უზნაძის ეფექტს“ უწოდებენ. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა განწყობის მთლიანპიროვნული ბუნება, რომლის ფორმირება და მოქმედება სპეციფიკურ კანონებს ექვემდებარება. 1949 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში — „განწყობის ფიქსირების ექსპერიმენტული საფუძვლები“, დიმიტრი უზნაძემ საბოლოოდ

ჩამოაყალიბა განწყობის იერარქიული თეორია, სადაც ადამიანის არაცნობიერი და ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის კანონზომიერებანი ერთიანი განწყობის ფიქსირების საფუძველზეა განხილული. ეს შრომა „განწყობის ფიქსირების“ სახელწოდებით ინგლისურად 1966 წელს გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. დ. უზნაძის განწყობის თეორია მსოფლიოს ფიქსირებითვის სწორედ ამ წიგნის საფუძველზე გახდა ცნობილი და დიდი გავლენა მოახდინა ფიქსირების მეცნიერების განვითარებაზე. დ. უზნაძე დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

DIMITRI UZNADZE



Dimitri Uznadze (1887-1959) was born in the village of Saka, Zestaphoni region. He studied in Kutaisi First Gymnasium for boys and the Faculty of Philosophy at Leipzig University, from which he graduated in 1909. He was granted a Doctoral degree at Halle University for the work on V. Solovyov's philosophy. It was the first thesis for a Doctor's degree addressing the issues of Russian philosophy written abroad.

After his return from Germany, D. Uznadze taught history in Kutaisi Gymnasium. In 1910, he was accepted to the faculty of History and Philosophy at the University of Kharkov, as an external student, from which he graduated three years later with the first degree diploma.

Dimitri Uznadze conducted scientific-pedagogical activities in the fields of History and Pedagogics. He prepared and published the textbooks which factually became the first serious history manuals in Georgian. As soon as the minorities within the Russian Empire were given permission to open national schools, the Georgian school 'Sinatle' was founded in Kutaisi (1915), Dimitri Uznadze becoming headmaster. In a series of 'Letters in Pedagogics' published at the period, the principles of his future psychological theories were already shaping.

From 1917, Dimitri Uznadze moved to Tbilisi and joined a group of Georgian scientists, founders of the Georgian University.

From the very first semester, he began to deliver lectures in psychology and set up a psychology lab, which grew into a strong centre for the development of psychology in Georgia. At that time he supervised the Institute of Pedagogics in Tbilisi, which originated on the basis of the Teachers' Institute and was included into the University. Apart from Tbilisi, D. Uznadze led pedagogical activities in Kutaisi and Sokumi Institutes of Pedagogics. Dimitri Uznadze was a co-founder and a member of the Georgian Academy of Sciences.

The experimental method for the studies of unique features of the Theory of Attitude and Set – introduction to Set Attitude Method – is connected with the name of Dimitri Uznadze. The

phenomenon, on the basis of which Uznadze elaborated the method of experimental study of attitude is known as ‘the Uznadze Effect’. Multiple experiments proved the wholly personal character of attitude, the formation and activity of which is subjected to specific laws. In a 1949 monograph titled ‘Experimental Basics of the Psychology of Set’, Dimitri Uznadze finally elaborated the Hierarchy Theory of Set, in which the regularities of human subconscious and conscious psychic activities are considered on the basis of common Psychology of Set. The study under the title ‘Psychology of Set’ was published in English in the United States, in 1966.

D. Uznadze’s Theory of Set became familiar to the world psychologists through the given book. It strongly influenced the development of psychological science.





3 ანდა ჰოპე-ლამბაშიძე 1876 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-ჯერსის შტატში დაიბადა, განათლება ამერიკასა და საფრანგეთში მიიღო. 1897 წელს ვანდამ გაიცნო ქართველი ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე, რომელიც, პროფესიის სრულყოფის მიზნით, საფრანგეთის დედაქალაქში იყო ჩასული. მათ იქორწინეს, საქართველოში ჩამოვიდნენ და შორაპანში დასახლდნენ. 1899 წელს შეეძინათ პირველი ქალიშვილი მედეა, რომლის ნათლია ოჯახის დიდი მეგობარი აკაკი წერეთელი იყო.

თბილისში გადმოსვლის შემდგომ ვახტანგისა და ვანდას ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი თუ უცხოელი სტუმრები. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილმა ვანდა ღამბაშიძე უნივერსიტეტში ინგლისური ენის ლექტორად მიიწვია.

1919-1920 წლებში, საქართველო-სომხეთის ომის დროს, ვანდა ფრონტზე წითელ ჯვარს ხელმძღვანელობდა.

1921 წელს ვანდას ვაჟი გივი ღამბაშიძე საქართველოს არმიაში მოხალისედ ჩაეწერა. რუსეთის ჯარის მიერ თბილისის ოკუპაციის შემდეგ ღამბაშიძების ოჯახი კონსტანტინეპოლისაკენ გაემგზავრა. თურქეთში ვანდა წითელი ჯვრის ვიცე-პრეზიდენტი და საფრანგეთის კომიტეტის რწმუნებული გახდა. ეს ორგანიზაცია კონსტანტინეპოლის ქართველების დასახმარებლად საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. 1924 წლიდან ღამბაშიძების ოჯახმა საფრანგეთში მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი.

ვანდა ღამბაშიძე გარდაიცვალა 1945 წელს პარიზში. დაკრძალულია ლევილიში, ქართველთა სასაფლაოზე.

WANDA GHAMBASHIDZE

Wanda Hoppe Ghambashidze was born in New Jersey, United States of America, in 1876. She was educated in the United States and France. In 1897, Wanda met a Georgian doctor Vakhtang Ghambashidze, who had arrived in the French capital to improve his professional skills. They got married, arrived in Georgia and settled in Shorapani.

After their move to Tbilisi, the family salon of Wakhtang and Wanda hosted many famous Georgians and foreigners visiting Georgia. In 1918, Ivane Javakhishvili invited Wanda Ghambashidze to teach English at the University.

Between 1919 and 1920, during the Georgian – Armenian war, Wanda headed the Red Cross at

the front. In 1921, Wanda's son, Givi Ghambashidze joined the Georgian army as a volunteer. After the occupation of Tbilisi by the Russian army and the retreat of Georgian troops, Givi caught the last Red Cross train in Zestaphoni. On her arrival in Batumi Wanda and Givi departed for Constantinople, in Turkey. Wanda became the Vice President of the Red Cross and a proxy of the French Committee. The organization conducted charity activities in order to render aid to the Georgians living in Constantinople. In 1924 the Ghambashidze family were given political asylum in France.

Wanda Ghambashidze died in Paris in 1945. She is buried at the Georgian cemetery in Leville.

ილია ყიფშიძე (1882-1953) სწავლობდა კერძო გერმანულ სკოლასა და ვაჟთა II გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1902 წელს, გახდა დავით სარაჯიშვილის სტი-პენდიატი და გაემგზავრა გერმანიაში, სადაც 1908 წელს ქ. აახენში რაინ-ვესტფალიის უმაღლესი ტექნიკური სკოლა დაამთავრა.

საქართველოში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე გაიწვიეს.

1918 წელს, არტურ ლაისტის რეკომენდაციით, ივანე ჯავახიშვილმა ილია ყიფშიძე ახალგახსნილ უნივერსიტეტში მიიჩნია გერმანული ენის მასწავლებლად.

1919 წლიდან ი. ყიფშიძემ უნივერსიტეტის სამათემა-

ილია ყიფშიძე

ტიკო-საბუნების მეტყველო ფაკულტეტის მინერალოგის კათედრაზე ასისტენტად დაბანყო მუშაობა, რომლის პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელი იყო და სწორედ მასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის სწავლებას თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ილია ყიფშიძის აქტიური მონაწილეობით იქნა შეძენილი მინერალების პირველი კოლექცია, რომელიც შემდგომ უმდიდრეს მუზეუმად იქცა.

ილია ყიფშიძე იკვლევდა ბოქსიტებს, საქართველოს მარმარილოებს, თრიალეთის ქედის ავგიტებს, ალაზნის ხეობის კირქვებს. ავტორია

გეომეტრიული კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის სახელმძღვანელოსი. უნივერსიტეტის პირველმა გერმანულის მასწავლებელმა დოდი ნელილი შეიტანა კრისტალურ ფორმათა და მინერალთა ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებაში.



ILIA KIPSHIDZE

Ilia Kipshidze (1882-1953) went to a private German school and the 2nd Boys' Gymnasium. In 1902, after finishing school, he received Davit Sarajishvili's scholarship and left for Germany. In 1908, Ilia Kipshidze graduated from Rhine-Westphalian Higher Technical School in Aachen.

After returning to Georgia, he started to work as a teacher. During World War I, Ilia was obliged to serve in the army at the East Prussian front.

In 1918, on Arthur Leist's advice, Ivane Javakhishvili offered Ilia Kipshidze a post of German teacher in the newly opened university.

In 1919, I. Kipshidze started out as an assistant at the Mineralogy Chair of the university Mathematics and Natural Sciences Faculty headed by Professor Aleksandre Tvalchrelidze. Together they initiated teaching Crystallography and Mineralogy at Tbilisi State University. He actively participated in purchasing the first collection of minerals, which laid the foundation for the university's richest stock. I. Kipshidze researched bauxites, Georgian marbles, Trialeti ridge augites and Alazani valley limestones. He is the author of Geometric Crystallography and Mineralogy textbook. He contributed greatly to developing Georgian equivalents of crystal forms and minerals.

იოსებ ყიფშიძე (1883/85-1919) იყო ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული თანამებრძოლი, რომელმაც უყოფმანოდ დათმო გარანტირებული სამეცნიერო კარიერა პეტერბურგის სამსახურის უნივერსიტეტში და ქართული უნივერსიტეტის დაარსებას, მის გაძლიერებას მიუძღვნა ხანმოკლე სიცოცხლე.

იოსებ ყიფშიძე 1906 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების გეოგრაფიის დარგზე ჩაირიცხა. საკუთარი სპეციალობის დაუფლების პარალელურად იგი ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ლექციებსაც უსმენდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გამო უანდარმერიამ დააპატიმრა და პეტერბურგიდან გააძევა. ი. ყიფშიძე ქუთაისში ჩამოვიდა, თუმცა მალე მიიღო უკან დაბრუნების უფლება. ხელახლა ჩასვლის შემდგომ იგი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე გადავიდა. ფაკულტეტის საბჭომ თავის გაავავნა სტუდენტი იოსები სამეცნიეროში მე-

იოსებ ყიფშიძე

გრული ენის შესასწავლად, ხოლო 1910 წელს უნივერსიტეტი მიავლინა მასალების მოსაგროვებლად და ჭანურის შესასწავლად. ამ სამეცნიერო მივლინებებისას შეგროვებული მასალის საფუძველზე 1911 წელს დაბეჭდა ლინგვისტური შრომა.

იოსებ ყიფშიძე ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის პირველი თავმჯდომარე იყო.

1911 წელს მან რუსულ ენაზე გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა”.

1914 წელს რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოებამ ი. ყიფშიძე წევრ-თანამშრომლად აირჩია, ამავე წელს გამოქვეყნდა მისი 600-გვერდიანი მონოგრაფია - „მეგრული ენის გრამატიკა”. ამ ნაშრომის საფუძველზე იოსებ ყიფშიძეს ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. 1915 წლიდან, როგორც პრივატ-დოცენტი, პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიწყო „ძველი სალიტერატურო ქართულისა” და „მეგრული ენის” სალექციო კურსების კითხვა. გამოსაცემად მოამზადა და დასაბეჭდად გადასცა „ძველი ქართული ქრესტომათია”, რომელიც მაშინ დაისტამბა, როცა იოსებ ყიფშიძეს უკვე მიტოვებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობა და თბილისში ქართულ უნივერსიტეტს ემსახურებოდა.

განუზომელია იოსებ ყიფშიძის დამსახურება თბილისის უნივერსიტეტის შექმნის საორგანიზაციო პროცესში. 1918 წლის 13 იანვრიდან იყო პროფესორთა საბჭოს მდივანი. პირველი სემესტრიდან ქართული უნივერსიტეტის პირველ სტუდენტებს ძველი ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ლექციებს უკითხავდა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის ივანე ჯავახიშვილის მოადგილის ფუნქციას ასრულებდა.

იოსებ ყიფშიძე მოულოდნელად სახადით დაავადდა და 1919 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



IOSEB KIPSHIDZE

Ioseb Kipshidze (1883/85-1919) was one of the most devoted associates of Ivane Javakhishvili, who gave up his scientific career in Petersburg University without hesitation and dedicated his short life to the establishment of the Georgian University and to its progress.

